



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 ივნისი, 2014 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (თანაკოორდინატორი)
3. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი -
4. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
5. ლევან ცხაკაია - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
6. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
7. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
8. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
9. ნინო სუთიძე - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
10. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
11. ლაშა წიკლაური - ასოციაცია „საზოგადოება განვითარებისთვის“
12. თენგის სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
13. გიორგი გაბუნია - ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
14. ნინო ბაბუნაშვილი - კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით

განსახილველი საკითხები

- ❖ პრეზენტაცია - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ კახა გოგოლაშვილი- GFSIS -ის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი
- ❖ აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის კოორდინატორის არჩევის შესახებ

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და ძირითადი საკითხის განხილვამდე ისაუბრა შეხვედრებზე ჯგუფის წევრების დასწრების პრობლემაზე.

თანაკოორდინატორის თქმით, პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების რაოდენობა ბევრია, თუმცა ძალიან ცოტა მათგანი ესწრება შეხვედრებს, რაც ხელს უშლის ჯგუფს ეფექტურ მუშაობაში.

ჯგუფის თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა დოკუმენტზე „ევროკავშირის საგზაო რუკა სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის 2014-2017 წლებისთვის“ და სთხოვა მათ შენიშვნების არსებობის შემთხვევაში გადაეგზავნათ ევროდელეგაციაში. ასევე, მან ისაუბრა ჯგუფის სამოქმედო გეგმის შესახებ. 2014 წლისათვის გამოვლინდა შემდეგი პრიორიტეტები: პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე; სურსათის უვნებლობა; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება; კვლევისა და ინოვაციის პოლიტიკა საქართველოში და მისი შესაბამისობა ასოცირების ხელშეკრულებასთან; რეგიონული განვითარების საკითხები.

ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ დოკუმენტთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს წერილობით გაუგზავნიან თანაკოორდინატორებს.

თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს, ასევე მიაწოდა ინფორმაცია სემინარის „საინოვაციო პოლიტიკა რეგიონებში, ევროპასა და საქართველოში“ შესახებ, რომელიც გაიმართა თელავში, ქუთაისში და ბათუმში.

თანაკოორდინატორმა მადლობა გადაუხადა ჯგუფის წევრებს, ვინც მიაწოდა კვალიფიციური შენიშვნები მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის შესახებ, ასევე აღნიშნა რომ ეს იყო დოკუმენტის სამუშაო ვერსია და მოუწოდა წევრებს გამოაგზავნონ თავიანთი შენიშვნები თუ მოსაზრებები. ასევეაუცილებელია ექსპერტიზა, რათა დადგინდეს თუ რამდენად შეესაბამება

სტრატეგია ასოცირების ხელშეკრულებას.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა განიხილა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი "საქართველო 2020". მან აღნიშნა, რომ ხსენებული დოკუმენტის მიმართ ორგანიზაციების დამოკიდებულება არის არასერიოზული. არ არის მექანიზმი ამ დოკუმენტის განხილვის. ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს თანაკოორდინატორებისა და დამსწრეების მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე, წარმოადგინეს თავიანთი კომენტარები და წინადადებები. ჯგუფის თანაკოორდინატორმა გამოთქვა იმედი, რომ მთავრობა დაუბრუნდება აღნიშნული დოკუმენტის განხილვას და მოუწოდა ჯგუფის წევრებს თემატურად განიხილონ სტრატეგიის დოკუმენტი.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ, პრობლემა იმაშიც მდგომარეობს, რომ სტრატეგიებს არა აქვს არავითარი სამართლებრივი სარჩული, არც სურსათის უვნებლობის სტრატეგია შესრულებულა და გაურკვეველი დროით გადაავადა მთავრობამ. მან გამოთქვა სურვილი, რომ ორგანიზაციებმა მოსთხოვონ მთავრობას აქტიურად გააგრძელონ მუშაობა ამ მიმართულებით.

ჯგუფის თანაკოორდინატორმა შენიშნა, რომ პარლამენტში გამართული შეხვედრისას მან მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, სტრატეგიები ისეთივე განხილვის საგანად იქცეს პარლამენტში, როგორც კანონები.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის წარმომადგენელმა გააკეთა პრეზენტაცია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის“ შესახებ. მან ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: ტარიფები, არასატარიფო ბარიერები, წარმოშობის წესები. ისაუბრა DCFTA-ის პრეამბულის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ის შესაბამისობაშია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 24 მუხლთან, რომელიც კონკრეტულად ეხება ტარიფების საკითხს, ტარიფების გაუქმების საკითხს. ასევე ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საიტზე არის ხელმისაწვდომი ყველა ქვეყნის სატარიფო ბადა.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ასოცირების ხელშეკრულებაზე, DCFTA და ევროინტეგრაციის დადებით მხარეებზე, შესაძლებლობებზე და მიმდინარე გამოწვევებზე.

თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სოფლის მეურნეობის ქვეჯგუფის კოორდინატორი გადავიდა საჯარო სექტორში. ქვეჯგუფის ეფექტური ფუნქციონირებისათვის უნდა ჩატარდეს არჩევნები და ჯგუფის წევრმა ორგანიზაციებმა აირჩიონ ახალი კოორდინატორი.

ჯგუფის წარმომადგენელმა წერილობით მიმართა თანაკოორდინატორებს და წამოაყენა თენგიზ სვანიძის კანდიდატურა (ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი") . სამდივნოს წარმომადგენელმა თანაკოორდინატორებს აცნობა, რომ პლატფორმის

სამდივნომ ასევე მიიღო ნანა ფიროსმანაშვილის კანდიდატურა. თუმცა მან მონაწილეობა ვერ მიიღო არჩევნებში იმ მიზეზით, რომ არ ესწრებოდა აღნიშნულ შეხვედრას. შეხვედრაში მონაწილეებს დაურიგდათ ბიულეტენები, სხვა კანდიდატების გამოსავლენად. ჯგუფი შეთანხმდა, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდებოდა ერთი კანდიდატურა, არ იარსებებდა არჩევნების ჩატარების აუცილებლობა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ჯგუფის წევრმა 14 ორგანიზაციამ ერთხმად წამოაყენა თენგიზ სვანიძის კანდიდატურა და იგი არჩეულ იქნა სოფლის მეურნეობის ქვეჯგუფის კოორდინატორად.

ახლად არჩეულმა კოორდინატორმა მადლობა გადაუხადა ჯგუფის წევრებს გამოცხადებული ნდობისთვის და გამოხატა მზადყოფნა ქვეჯგუფის მუშაობის აქტიურად ჩართულობაში.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია